



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ბატონის ციხის რეაბილიტაციის ქვეპროექტი (მუზეუმი და
ტერიტორია)
თელავში - ფაზა 2

გარემოსდაცვითი შეფასება



მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული
რეგიონული განვითარების პროექტი

თბილისი
2015 წლის მაისი

აბრევიატურები

WB	მსოფლიო ბანკი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EMP	გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
ER	გარემოსდაცვითი მიმოხილვა
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MoENRP	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
RDP	რეგიონალური განვითარების პროექტი
SECHSA	ტრატეგიული გარემოსდაცვითი, კულტურული მემკვიდრეობის და სოციალური ზემოქმედების შეფასება
CH	კულტურული მემკვიდრეობა

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს ქალაქ თელავში, აღმოსავლეთ საქართველოში. ქალაქი წარმოადგენს კახეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს და მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის მთისწინეთში და მდინარე ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 550-800 მ სიმაღლეზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-თელავის საავტომობილო გზის მეშვეობით, იგი თბილისიდან დაშორებულია 158 კმ-ით.

ბატონისციხის მუზეუმი ერეკლე II სასახლის მეზობლად მდებარეობს, ქალაქ თელავის ერეკლე II-ის მოედანზე. ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული დაუმთავრებელი ნაგებობის რეკონსტრუქციასა და ფუნქციონალურ აღჭურვას და ასევე ახალი სივრცის აგებას იაშვილის გალერეისათვის. შენობა უმეტესად შედგება ყრუ ფასადებისაგან. სახურავის ნაწილზე მოეწყობა ხმის იზოლაცია. სახურავის ამ ნაწილში ასევე დაგეგმილია ტერასისა და კაფეს მოწყობა.

სასახლე და მუზეუმი 21 607კმ² ფართობს იკავებს, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწას წარმოადგენს და უზუფრუქტის სტატუსით გადაცემულია თელავის ისტორიის მუზეუმისათვის.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქვემოთმოყვანილ საქმიანობებს:

- არსებული დაუმთავრებელი ნაგებობის რეკონსტრუქცია და ფუნქციონალური აღჭურვა
- მოსაპირკეთებელი სამუშაოები
- საინჟინრო კომუნკაციებით აღჭურვა
- გამწვანება

შენობა, რომელშიც მუზეუმი უნდა განთავსდეს ერეკლე II-ის სასახლესთან ერთად წარმოადგენს ბატონისციხის არქიტექტურულ კოპლექსში შემავალ ერთ-ერთ ნაგებობას. იგი წარმოადგენს ნახევრად-სარდაფს, მაღალი(5,5მ) ჭერით, სადაც თავდაპირველი პროექტის თანახმად დაგეგმილი იყო ღვინის მუზეუმის მოწყობა. ქვე-პროექტი ასევე ითვალისწინებს ორი საგამოფენო დარბაზის, კაფესა და ადმინისტრაციის ოფისის მოწყობას ზედა სართულზე.

ახალი საპროექტო დავალებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთავარი საგამოფენო დარბაზის და დროებითი გამოფენებისათვის განკუთვნილი დარბაზების მოწყობა არსებულ სართულზე არის დაგეგმილი. ამის გარდა, გამოყოფილი იქნება დამოუკიდებელი სივრცე ე.წ. „იაშვილის კოლექციისათვის“ და გათვალისწინებული იქნება სათანადო სივრცეები ადმინისტრაციის ოფისის, საკონფერენციო დარბაზის და სხვა დამხმარე სასაწყობე ფართებისათვის. მთავარი საგამოფენო დარბაზის ზევით მოეწყობა კაფე. რადგანაც არსებული სივრცე საკმარისი არ არის იაშვილის კოლექციის საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებისათვის, დაგეგმილია ერთსართულიანი შენობის მშენებლობა ისტორიული კედლის გასწვრივ, არსებული ნაგებობის სამხრეთით.

(A) ზემოქმედების განსაზღვრა

<p>აქვს თუ არა ქვეპროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ზომიერი, მოკლევადიანი ნეგატიური ზეგავლენა ექნება გარემოზე, მისი გრძელვადიანი ზეგავლენა კი დადებითი იქნება. ძირითადი ზეგავლენა დაკავშირებული იქნება მძიმე ტექნიკის მოძრაობასთან და ექსპლუატაციასთან სამშენებლო ობიექტზე და მასალების მოწოდებასთან. მოსალოდნელი ზემოქმედებები (ხმაური, გამონაბოლქვები, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის დროებითი შეზღუდვა) გარდამავალი და უმნიშვნელოა.</p>
<p>რა არის ქვეპროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მეზობლად მაღალი სტანდარტის, მრავალფუნქციური მუზეუმის აგების და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდის მეშვეობით. მზარდ ტურისტულ ნაკადებს დადებითი სოციალური ეფექტი ექნება დასაქმების თვალსაზრისით. ქვეპროექტის განხორციელება ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც მათ შემოსავლებს გაზრდის. ამის გარდა, ობიექტი უფრო დაცული გახდება კლიმატური და სხვა ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენისაგან.</p> <p>უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება სავარაუდოდ ხანმოკლე და ტიპიური იქნება ურბანულ ლანდშაფტზე მიმდინარე მცირე და საშუალო მასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და სამშენებლო მანქანა-დანადგარების მუშაობის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვები; სამშენებლო ნარჩენების დაგროვება, ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის დაბრკოლება. ეს ზემოქმედება ძირითადად გავრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაზე, სტუდენტებზე და მიმდებარე სკოლის მასწავლებლებზე.</p> <p>მზარდ ტურისტული ნაკადების შესაძლო ირიბი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე: ნარჩენების დაგროვება, ვანდალიზმი და სხვ.</p>

<p>აქვს თუ არა ქვეპროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ადგილობრივ ან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე?</p>	<p>მოსალოდნელი არ არის ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლება. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება დადებითი იქნება (ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ტურისტების ნაკადის ზრდა), რადგანაც ადგილობრივი თემი უზრუნველყოფილი იქნება ახალი კომფორტული მუზეუმის შენობით, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს პირობებს ადგილობრივი პერსონალის (64 პირი - 61 ქალი და 3 მამაკაცი) და ტურისტებისათვის.</p> <p>პერსონალს ხელფასებს უხდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ქვე-პროექტს არ ექნება ზეგავლენა პერსონალის შემოსავლებზე, რადგანაც სამინისტრო პროექტის მიმდინარეობისას ეწყვეტად გააგრძელებს მათი ხელფასების გადახდას (უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი წერილი).</p> <p>ქვე-პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას შეიქმნება დროებითი დასაქმების შესაძლებლობა, რაც გაზრდის მათ შემოსავლებს.</p> <p>კაფეს მშენებლობა გამოიწვევს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას და შესაბამისად გაიზრდება ადგილობრივების შემოსავლები.</p> <p>სარეაბილიტაციო სამუშაოებს შედეგად არ მოჰყვება ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედებები, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილება, ახალმოსახლეების ნაკადი, მეორადი განვითარება, და შიდა რისკის ზრდა.</p> <p>უარყოფითი ზემოქმედება ხანმოკლე იქნება და სამშენებლო მოედნის ფარგლებს არ გასცდება – ეს არის ზემოთ აღწერილი შესაძლო დაბრკოლებები. სკოლა #1 მოქმედი სკოლაა, სადაც საგანმანათლებლო პროცესი ჩვეულებრივად გაგრძელდება. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა არდადეგების გამო მაისის ბოლოს დაიხურება და აქედან გამომდინარე სამშენებლო პროცესით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების პერიოდი მინიმუმადე იქნება დაყვანილი.</p> <p>ექსპონატების შესანახი დროებითი სივრცე სკოლის შენობის სხვა მხარეს მოიძებნა, რომელიც სკოლის იმ</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>ნაწილისაგან არის იზოლირებული, სადაც საკლასო ოთახები მდებარეობს, შესაბამისად საჭირო არ იქნება საკლასო ოთახების დაცარიელება. ამრიგად, ექსპონატების დროებითი დასაწყობება სკოლის შენობაში არ გამოიწვევს სასწავლო პროცესის ხელის შეშლას და არ შეიცავს ექსპონატების დაზიანების რისკს.</p>
--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები

<p>ქვეპროექტის პროექტირებისას რა ალტერნატივები იქნა განხილული?</p>	<p>ალტერნატივის სახით განხილული იქნა ღვინის მუზეუმის მოწყობა არსებულ შენობაში და საგამოფენო დარბაზების, კაფესა და ადმინისტრაციის ოფისის მოწყობა მის ზედა სართულზე. შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, პრიორიტეტი მიენიჭა მუზეუმის ძირითადი და დროებითი საგამოფენო დარბაზების მოწყობას. წინადადება წარმოადგენს მუზეუმის მოწყობის მცდელობას მსხილმასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების გარეშე. აღსანიშნავია, რომ შენობის ახალი არქიტექტურა ისე იქნა შერჩეული კონტექსტის შესაბამისად, რომ ნაკლებად ყოფილიყო თვალში საცემი და არ დაეთრგუნა კედლებისა და სასახლის კომპლექსის დომინანტურობა.</p>
<p>რა ტიპის შემარბილებელი ღონისძიებები იქნა შემოთავაზებული?</p>	<p>სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილება შესაძლებელი იქნება შემდგომი ძირითადი პირობების დაცვით: სამშენებლო მოედნის შეღობვა და შესაბამისი ნიშნების დაყენება მთელ პერიმეტრზე, ნარჩენების სათანადოდ განკარგვა და მონიტორინგი, სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყენებული მექანიზმების ტექნიკური ფუნქციონალურობის უზრუნველყოფა, ნაკლებად სენსიტიური პერიოდის (დღის საათების) შერჩევა სამშენებლო სამუშაოებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობა და სხვა რეცეპტორები (სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები) სათანადოდ უნდა იქნან საქმის კურში ჩაყენებული.</p>
<p>წინა ანალოგიური ქვეპროექტებიდან მიღებული რა</p>	<p>პროექტის დიზაინი შერჩეული იქნა „ბატონის ციხის“ კომპლექსის კონსერვაციის სამოქმედო გეგმის</p>

გაკვეთილები იქნა გათვალისწინებული პროექტის დიზაინში?	მიდგომების, პრინციპებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე.
მონაწილეობენ თუ არა თემები ქვეპროექტში და გათვალისწინებული იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა ქვეპროექტის მომზადებისას?	თელავის მოსახლეობა ინფორმირებულია ბატონისციხისა და მუზეუმის აღდგენის გეგმების შესახებ და დადებითი განწყობა გააჩნიათ ზემოხსენებულთან დაკავშირებით. თელაველებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ქვეპროექტის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც განხილული იქნება საკონსულტაციო შეხვედრაზე სამუშაოების დაწყებამდე.

(D) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დარყდნობით ქვეპროექტს მიენიჭა გარემოსდაცვითი კატეგორია A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია
2. ქვეპროექტი მიღებულია

მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვეპროექტის მომზადება საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით

ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბელეები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

გარემოსდაცვითი შეფასება

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია

ქვეპროექტი ითვალისწინებს მუზეუმის მოწყობას ერეკლე II სასახლის სიახლოვეს. ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს ქალაქ თელავში, აღმოსავლეთ საქართველოში. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-თელავის საავტომობილო გზის მეშვეობით.

ქვეპროექტი რეგიონული განვითარების პროექტის ნაწილია, რომელიც გამიზნულია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის რომელიც კახეთში არსებობს და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისათვის. საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკს ფინანსური მხარდაჭერა სთხოვა. რეგიონული განვითარების პროექტი ერთობლივად მომზადდა საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ბანკი სესხს გამოყოფს რეგიონული განვითარების პროექტის განხორციელების დასაფინანსებლად. რადგანაც ქვე-პროექტი რეგიონული განვითარების პროექტის ნაწილია, მისი მომზადება, განხილვა, დამტკიცება და განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად უნდა წარიმართოს.

1.2. მუნიციპალური განვითარების ფონდი როგორც განმახორციელებელი ორგანო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში „ფონდი“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ფინანსური რესურსების ინვესტირებას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურების სფეროში, აგრეთვე ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის (თემებისთვის). ფონდი იქნება რეგიონული განვითარების პროექტის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც პასუხს აგებს მის მენეჯმენტზე და ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესრულებაზე.

ფონდი მოამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს დასამტკიცებლად ქვეპროექტის შეფასების ანგარიშებს თანდართული უსაფრთხოების დოკუმენტებით. ქვეპროექტის რისკის კატეგორიის მიხედვით (მაღალი ან დაბალი რისკი) გარემოსდაცვითი შეფასება შეიძლება მოიცავდეს გარემოსდაცვით მიმოხილვას (გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ჩათვლით) – მაღალი რისკის B კატეგორიის შემთხვევაში, ან შემოიფარგლოს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სიით მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის – დაბალი რისკის B კატეგორიის შემთხვევაში.

1.3. მოკლე ინფორმაცია შემოთავაზებული ქვეპროექტის შესახებ

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ოფისის, სადარბაზოს, საგამოფენო დარბაზების ტუალეტების, კაფეს, ექსპონატების საწყობების, საინჟინრო და სხვა კომუნიკაციების და დამხმარე სათავსოების მოწყობას. საპროექტო ობიექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში - თელავში, ქალაქ თბილისიდან 158 კმ მანძილზე. მთავარი მისასვლელი გზა არის თბილისი-ბაკურციხე-თელავის ავტომაგისტრალი.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გრანტის მიმღები / სუბსიდის ამღები: საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

ადგილობრივი წარმომადგენლობა: ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი

დაფინანსების წყაროები / დაფინანსება: მსოფლიო ბანკი და მუნიციპალური მთავრობა/ საქართველოს მთავრობა (GOG)

განმახორციელებელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ფონდი)

განხორციელების სტრუქტურა

მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან; პროექტის განხორციელების ხელშეკრულება მსესხებლსა (საქართველო) და ფონდს შორის; დაფინანსების საინვესტიციო ხელშეკრულება ბატონის ციხის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად ფონდსა და თელავის მუნიციპალურ მთავრობას (MG) შორის;

2. კანონმდებლობა და რეგულაციები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008) პროექტი არ საჭიროებს გზშ-ს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვეპროექტთან მიმართებაში გამოიყენება OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება და OP/BP 4.11 მსოფლიო ბანკის ფიზიკური კულტურული რესურსები.

რეგიონული განვითარების პროექტისთვის მიღებული ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკის და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვეპროექტს მიენიჭა B (+) კატეგორია და საჭიროებს გარემოსდაცვითი მიმოხილვის და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას SECHSA და EMF რეკომენდაციების დაცვით.

„კულტურული მემკვიდრეობის“ შესახებ კანონის თანახმად საჭიროა ნებართვის აღება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოს ჩასატარებლად საჭიროა ნებართვის აღება.

ბატონის ციხის (მუზეუმი და ტერიტორია) ქვეპროექტის პროექტი დამტკიცებულია კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს საბჭოს მიერ და როგორც ყოველთვის ხდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შემთხვევაში, ფონდი კონტრაქტორის შერჩევითანავე მოიპოვებს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოდან მშენებლობის ნებართვას კონტრაქტორის სახელზე.

3. ქვეპროექტი

საპროექტო ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს, კახეთის რეგიონის ქალაქ თელავში, თბილისიდან 150 კმ მანძილზე. მისასვლელი გზა არის თბილისი–ბაკურციხე–თელავის გზატკეცილი.

პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- არსებული დაუმთავრებელი ნაგებობის რეკონსტრუქცია და ფუნქციონალური აღჭურვა
- მოსაპირკეთებელი სამუშაოები
- საინჟინრო კომუნიკაციებით აღჭურვა
- მუზეუმის ტერიტორიის გამწვანება

შენობის ნაწილი გაყოფილია ორ დონედ, რაც იძლევა ადმინისტრაციის ოფისის, სადარბაზოს, ტულეტების, კაფეს, ექსპონატების და სხვა დამხმარე სასაწყობო ფართების და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის საშუალებას. საგამოფენო დარბაზების ჭერის სიმაღლე მაღალი რჩება. ორ სართულად დაყოფა გათვალისწინებულია ფოლადის კონსტრუქციით და მისი შემდგომი შემოსვითა და მოპირკეთებით. კონსტრუქცია ეფუძნება ფუნდამენტის ფილას ფოლადის საყრდენებით.

რეკომენდაციების საფუძველზე, მოხდება რკინაბეტონის ამოღებული კიბის შახტისა და პანდუსის დემონტაჟი. რაც შეეხება შენობის დასავლეთ ფასადის კუთხის მალეების დემონტაჟს, მოხდება დამხმარე გასასვლელის გარე კედლების დემონტაჟი და მისი გაერთიანება შიდა კედელთან დამრეცი სიბრტყით, ხოლო შემდგომ მოეწყობა ციცაბო მწვანე ფერდობი.

კაფე, რომელიც მოეწყობა მთავარი საგამოფენო სივრცის თავზე, აგრეთვე წარმოადგენს მეტალის კონსტრუქციას, რომელიც რკინაბეტონის გადახურვის ზედა ფილაზე დაკიდებულია ლითონის კონსტრუქციითა და ლითონის ბაგირებით. საგამოფენო დარბაზში არ იქნება დამატებითი სვეტები.

შესასვლელის ნიშნულის დაწევა იწვევს რკინაბეტონის ფილის დემონტაჟს ღერძზე 4-4 და ასევე პანდუსის ნაწილობრივ დემონტაჟს. ასევე, მოხდება ფილის დემონტაჟი ღერძზე 5-6 და F-D, სადაც გათვალისწინებულია შიდა ბადის მოწყობა, რათა მიღებული იქნას ბუნებრივი განათება მუზეუმის ადმინისტრაციის ოფისისა და სათავსოებისათვის. რადგანაც არსებული სივრცე საკმარისი არ არის იაშვილის კოლექციის საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებისათვის, დაგეგმილია ერთსართულიანი შენობის მშენებლობა ისტორიული კედლის გასწვრივ, არსებული ნაგებობის სამხრეთით, რომლის სახურავის სიმაღლეც არსებული შენობის სახურავის სიმაღლის იდენტური იქნება.

შენობის ფასადები უფანჯრო იქნება. ისინი წარმოადგენს დამრეც რკინაბეტონის კედლებს, ან რკინაბეტონის დეკორატიულ ბადეს, იმ ადგილებში, სადაც საჭიროა ბუნებრივი განათება ან დეკორი. ფასადის ნაწილი დაიფარება 8-30 გრადუსი ქანობის მქონე ფერდობით, სადაც დაითესება ბალახი და მხვიარა მცენარეები. სამხრეთ ფასადის ფერდზე მოეწყობა ტერასა ქვის კიბით, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს შენობის სახურავზე მოხვედრა.

სახურავის პერიმეტრი ძირითადად მოეწყობა მართკუთხა კლუმბებით, დაბალი გართხმული მცენარეებით. სახურავის დარჩენილი ნაწილი მოპირკეთდება ხის ფენილით.

სახურავის ნაწილი ტერასად იქნება გამოყენებული, სადაც გამოიფინება მსხვილმასშტაბიანი არქეოლოგიური ნიმუშები და ექსპონატები (მაგ. დიდი ზომის ქვები). კერძო კი, ის ექსპონატები, რომლებიც ნებადართულია ღია ცის ქვეშ გამოსაფენად. კაფე ტერასის მეორე მხარეს მოეწყობა, იგი ტექნიკურად იქნება დაკავშირებული ქვედა სართულზე არსებულ კაფესთან.

ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობები:

1	ბეტონის ნამტვრევების და ნარჩენების დატვირთვა (ხელით) მანქანაზე და ტრანსპორტირება 25 კმ მანძილზე	890 ტონა
2	რკინაბეტონის სამუშაოები	435 მ ³
	სახურავების თერმოიზოლაცია	774 მ ²
4	მოთუთიებული მეტალის ვიტრაჟების მოწყობა	134 მ ²
5	შიდა ჭერის მოპირკეთება შეღებილი MDF (ემდეფით)	447 მ ²
6	ბეტონის ზედაპირების დამუშავება დამცავი ხსნარით	2580 მ ³
7	ხელოვნული შემადღებელი იატაკის საფარის მოწყობა ყველა საჭირო პროფილითა და სამაგრი ელემენტით	879,74 მ ³
8	ეზოს მწვანე საფარი	5875 მ ²
9	ბაზალტის ფილების მოწყობა	2135 მ ²

სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი ტიპის აღჭურვილობა და ტექნიკა:

#	დასახელება	მოდელი	რაოდენობა	შენიშვნები
1	2	3	4	5
1	ერთჩამჩიანი ექსკავატორი 0,40 მ ³	EO-2621	1	მიწის სამუშაოები
2	პნევმატური აღჭურვილობა (საბურღი, სანგრევი)	DU - 31 IE - 4501	1	გრუნტის სამუშაოები
3	ავტოთვითმცლელი		3	ნიადაგის გატანა, ინერტული მასალების მოწოდება
4	სატვირთო მანქანა		4	ტვირთის ტრანსპორტირება
5	ზედაპირული ვიბრატორი	IV – 77 IV – 91	2	ბეტონის სამუშაოები
9	შემდუღებელი აპარატი	SO – 48	2	შედუღების სამუშაოები

10	ბეტონმრევი	SB – 30 SB – 159	2	ბეტონის ტრანსპორტირება
12	ამწე 10 .0 ტონიანი		1	ტვირთის აწევა
13	ელექტრო-პნევმატური იარაღი სხვადასხვა დანიშნულებისათვის			სამშენებლო სამუშაოები

დაგეგმილი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ გათვალისწინებული არ არის დამოუკიდებელი ბეტონის ქარხნის მოწყობა (თუმცა, ეს საკითხი გაირკვევა სამუშაოების დაწყებამდე, მშენებელი კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ).

წყალმომარაგების, ელმომარაგების და წყალარინების სისტემები დაერთდება არსებულ მუნიციპალურ ქსელებზე.

კონტრაქტის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 13 თვეს.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 3, 442,481.76 ლარი

4. საბაზისო გარემოსდაცვითი პირობები

ამ განყოფილებაში აღწერილია საპროექტო არეალის ფონური მდგომარეობა გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის კუთხით. საპროექტო არეალი მდებარეობს ქალაქ თელავში, თელავის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის ტერიტორიაზე. ქვემოთ განხილულია ქვე-პროექტის ობიექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, და კულტურული მემკვიდრეობის კომპონენტების ზოგადი შტრიხები, რაშიც შედის გეოგრაფია, ლანდშაფტი, ფლორა და ფაუნა, დაცული ტერიტორიები, ჰიდროლოგია, ადგილობრივი მოსახლეობა, მუზეუმის თანამშრომლები და კულტურული მემკვიდრეობა.

4.1. ფიზიკური-გეოგრაფიული აღწერა, გეოლოგია, გეომორფოლოგია, სახიფათო გეოლოგიური პროცესები

კახეთი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთის და დაღესტანის რესპუბლიკები), აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთით საქართველოს რეგიონები - მცხეთა მთიანეთი, დასავლეთიდან კი ქვემო ქართლი.

კახეთის ტერიტორიის ფართობია 11040,6 კმ² იგი საქართველოს ტერიტორიის 16,6% შეადგენს. კახეთი 8 ადმინისტრაციული რაიონისგან შედგება.

თელავი, ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში – მდებარეობს გომბორის მთის ძირში ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ალაზნის ველზე. თელავი კახეთის რეგიონის და თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. თელავი არის თბილისი-თელავის სარკინიგზო ხაზის ბოლო სადგური, იგი მდებარეობს 550-800 მ. ზღვის დონიდან, თბილისიდან 158 კმ მანძილზე. დაარსდა (და ქალაქის სტატუსი მიიღო) 1801 წელს. მოსახლეობა 21.8 ათასი (2002 წლის მონაცემებით).

თელავის რაიონში 24 სოფელია.

ზოგადი ფიზიკური-გეოგრაფიული აღწერა

გეოგრაფიულად, რეგიონი მოიცავს მდინარე იორის შუა და ქვედა ბიეფს და მდინარე ალაზნის აუზს.

კახეთის ტერიტორიის ფართობია 11040,6 კმ² იგი საქართველოს ტერიტორიის 16,6% შეადგენს. კახეთი 8 ადმინისტრაციული რაიონისგან შედგება.

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიულ კახეთის რეგიონში. თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - ყვარლის მუნიციპალიტეტი და სამხრეთ-დასავლეთით - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

თელავი კახეთის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. იგი მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის ძირში, ალაზნის ველზე, 550-800 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მორფოლოგიური, გეოლოგიური, ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური პირობები

კახეთი რეგიონი სამი დიდი გეოტექტონიკურ ბლოკისგან შედგება: აღმოსავლეთ ზონაში – კავკასიონის მთავარი ქედის ანტიკლინორიუმის ლიოსის დანალექი შრე.

ყაზბეგი–ლაგოდეხის ზონა: კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაოჭა სისტემის ქვედა და შუა იურული შრეები და და მესტია–თიანეთის ზონა: ზედა იურული და ცარცის ფლიში, რომელიც ორ ქვეზონად იყოფა, (ჟინვალი–გომბორის და ალაზნის ჩავარდნილი ზონები);

საქართველოს ფილის აღმოსავლეთ ჩავარდნილი ზონა (მთათაშორისი დეპრესია), წომელიც წარმოდგენილია გარე კახეთის სუბზონით კახეთის ფარგლებში.

თელავის ლანდშაფტი თვალწარმტაცია. ქალაქი ყველა მხრიდან მშვენიერი პეიზაჟებით არის გარშემორტყმული. სამხრეთით და სამხრეთ–დასავლეთით ცივგომბორის ქედია, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კი ალაზნის ველი ესაზღვრება. ალაზნის ველის ჩრდილოეთით მდებარე დიდი კავკასიონის ქედი მთელი ქალაქიდან ჩანს.

ცივგომბორის ქედი დიდი ახალგაზრდა ანტიკლინია, რომელიც განვითარებულია პლიოცენური მოლასების დანალექების სუბსტრატაზე. ეს დეპოზიტები, უწესრიგოდ დაშრევებული, განლაგებულია ცარცულ და პალეოგენურ კომპლექსურ–დაკეცილ ფლიშის დეპოზიტებზე. ცივგომბორის ქედის თხემის ნაწილში და მისი ჩრდილოეთის ფერდობის ზედა საფეხურზე ბრტყელი–ტალღოვანი წყალგამყოფების და დენუდაციური ზედაპირების ფრაგმენტებია შემორჩენილი. მისი ზედაპირები დანაწევრებულია გარღვეული ხეობებით რომლებსაც ახასიათებს ძლიერი ღვარცოფული პროცესების განვითარება;

სახიფათო გეოლოგიური პროცესების ზოგადი შეფასება

კახეთის რეგიონის სამხრეთი ნაწილი მდებარეობს 7 ბალის ინტენსივობის სეისმურ ზონაში, ცენტრალური ნაწილი, რომელიც მოიცავს დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას, სიღნაღი და საგარეჯო – 8 და 9 ბალიანი ზონების საზღვარზეა, ჩრდილოეთ ნაწილი – თელავის, იყალთოს, ახმეტის, ყვარელის ჩათვლით ასევე თუშეთი ხვდება ყველაზე მაღალი რისკის ზონაში, 9 ბალის ინტენსივობით.

ქვეპროექტის ტერიტორიაზე არ არსებობს გეოლოგიური საფრთხის შემცველი და სახიფათო გეოლოგიური პროცესების ადგილები.

კლიმატი

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12°, აბსოლუტურ მაქსიმუმი 39°, ნალექები 700-800 მმ წელიწადში.

ჰიდროლოგია

ქალაქი თელავი მდებარეობს მდინარე ალაზნის აუზში, რომელიც სიდიდით მეორე მდინარეა საქართველოში, სათავეს იღებს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე 825 მ ზღვის დონიდან, სადაც ორი მდინარე წიფლოვანისხევი და სამყურისწყალი ერთმანეთს ერთვის სოფელ კადორთან. მდინარე ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში გარე კახეთის პლატოს აღმოსავლეთ ნაპირზე. საპროექტო არეალის სიახლოვეს არ მოიპოვება მნიშვნელოვანი წყლის ობიექტები. უახლოეს ობიექტს წარმოადგენს თელავის ხევი, რომელიც საპროექტო არეალიდან 300-400 მ-ში დასავლეთისაკენ მიედინება და უარყოფითი ზემოქმედება მასზე ნაკლებად მოსალოდნელია.

ნიადაგები

ალაზნის მარცხენა მხარეზე ჩამოყალიბებულია მდელო-ტყის ალუვიური უკარბონატო ნიადაგი. მარჯვენა მხარეზე კი ალუვიური კარბონატული ნიადაგი. მთისწინეთის ზონაში განვითარებულია ყავისფერი ნიადაგი. კახეთის კავკასიონისა და ქედების კალთების ქვემო ნაწილში ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ, გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგი.

ქვე-პროექტის არეალში სახეზე არ არის ბუნებრივი ნიადაგი. აქ მიწის ზედაპირი ტექნოგენური ხასიათისაა.

სოციალური პირობები

თემის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 21 805 შეადგენს, საიდანაც მამაკაცების რაოდენობაა - 9 891, ქალების - 11 914, უმცირესობების-1171, იგპ-ების-303, უნარშეზღუდულების - 1761, მიგრაციის მაჩვენებელია-23.9, მუშახელის პროცენტული შემადგენლობა - 42%, სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და პროცენტული შემცველობა (სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ვაჭრობა, ხე-ტყის დამუშავება, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, საზღვება, და ა.შ.) - 5,3%, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (განათლება, ჯანდაცვა, ფოსტა, კომუნალური სამსახურები, ადგილობრივი თვითმმართველობა, წყალმომარაგების სისტემა და ა.შ.) -4,8% (2004 წლის მონაცემები.)

ფიზიკური კულტურული რესურსების მდგომარეობა

აღწერა და მოკლე ისტორია

შენობა, სადაც დაგეგმილია მუზეუმის და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა ქალაქ თელავის ცენტრში მდებარე ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსის ერთ-ერთი ნაგებობაა.

იგი კომპლექსის ცენტრალური ნაგებობის ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II სასახლის დასავლეთით მდებარეობს. თქმულების თანახმად, აქ ცხოვრობდა და გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მბრძანებელი ერეკლე მეორე. სასახლე და მთელი კომპლექსი, თავის ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით კახეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. XVIII საუკუნეში ერეკლე II ახალი სიმაგრე ააგო, რომელიც რამდენჯერმე გადაკეთდა XIX-XX ს.ს.

1860 წელს ნაგებობასაკუთრებაში გადაეცა წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას. მისი თავმჯდომარის ანა ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის პირადი ინიციატივით, საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად სასახლის გაუმართლებელი რეკონსტრუქცია 1864-67 წლებში განხორციელდა.

1867 წელს დასრულდა სკოლის რეკონსტრუქცია. შედეგად შეიქმნა მოსაზღვრე ნაგებობების უსისტემოდ განვითარებული კომპლექსი. მინაშენებისა და ზედნაშენების წყალობით, სასახლე არარელევანტურ და უსახურ შენობებს შორის დაიკარგა. 1912 წელს უსისტემოდ განვითარებული სასახლის კომპლექსის დასავლეთ ნაწილში 3-სართულიანი მინაშენი აიგო.

ამ სახით კომპლექსმა 1981 წლამდე იარსება, როდესაც "გაფართოებულ" მეთოდური საბჭოს (დარგის თითქმის ყველა სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნეები, აგრეთვე მომიჯნავე დარგების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საბჭოში) გადაწყვეტილების საფუძველზე სასახლე გაიწმინდა გვიანდელი მიშენებებისგან. 1912 წელს აშენებული შენობა არ დანგრეულა, მასში თელავის ისტორიის მუზეუმი განთავსდა.

1974-82 წლებში ძეგლს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. სარესტავრაციო პროექტის ავტორი იყო ზ. მეღვინეთუხუცესი.

5. პოტენციური ზემოქმედების ანალიზი

5.1. მშენებლობის ფაზა

სოციალური ზემოქმედება

- **ზოგადი სოციალური საკითხები.** სარეაბილიტაციო სამუშაოების მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიულ სტრუქტურის ცვლილება, ახალმოსახლეთა შემოღობვა, მეორადი განვითარება, დასაქმება, შიდსის რისკების ზრდა არ არის მოსალოდნელი.
- **განსახლების საკითხი.** პროექტის შედეგად მოსალოდნელი არ არის ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლება. მოსალოდნელი არ არის მუდმივი ზემოქმედება კერძო ან იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, კერძო აქტივებზე ან ბიზნესზე.
- **მშენებელი მუშების დასაქმებასთან დაკავშირებული დადებითი ზემოქმედება.** შეზღუდული და დროებითი.
- **ხმაურთან, გამონაბოლქვებთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები.** შეზღუდული და დროებითი, რომლის შემსუბუქებაც ადვილად არის შესაძლებელი შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარების მეშვეობით.
- **ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა.** ადგილობრივი მიმოსვლაზე მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი ზემოქმედება.

- **უსაფრთხოება და წვდომა.** გართულდება წვდომა სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე, იქმნება პოტენციური რისკი მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთათვის. სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელია უმნიშვნელო უარყოფითი ზემოქმედება სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებზე.

გარემოზე ზემოქმედება

სამშენებლო მასალების და ნარჩენების არასათანადო განკარგვა, შენახვა, გამოყენება და განთავსება წყლის/ ნიადაგის დაბინძურების საფრთხეს შექმნის სამშენებლო მოედანსა და სასაწყობე ადგილზე. დანადგარების არასწორი ექსპლუატაცია და საწვავით გამართვა ასევე პოტენციური საფრთხის შემცველია ნიადაგისა და გარკვეულწილად წყლისთვის (უსახელო სეზონური ნაკადის გადაკვეთასთან ახლოს). ეს უკანასკნელი ზემოქმედება ნაკლებად სავარაუდოა.

ნიადაგის დაბინძურება

პროექტის პოტენციური დამაბინძურებლებია (ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის):

- სამშენებლო მანქანა-დანადგარების დიზელის საწვავი, საპოხი ზეთები, ჰიდრავლიკური სითხეები, ანტიფრიზი და ა.შ.;
- სხვადასხვა დამაბინძურებლები (მაგალითად, ცემენტი და ბეტონი);
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები და ხრეში, ცემენტი და ბეტონის ნარჩენები, ხის ნარჩენები და ა.შ.);
- ძალზე მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენები (მაგალითად, ნარჩენი ზეთი, ზეთიანი ჩვრები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი, და ა.შ.).

წყლის დაბინძურება

წყლის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა წყაროებმა, მათ შორის:

- საწვავის, ნავთობის ან სხვა მავნე ნივთიერების დაღვრა, განსაკუთრებით მანქანებში საწვავის ჩასხმის დროს
- ზედაპირული წყლების დაბინძურება შეწონილი ნაწილაკებით;
- მანქანა-დანადგარების რეცხვა

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების პოტენციური საფრთხე მინიმალურია და უკავშირდება მანქანებისა და მძიმე ტექნიკის მუშაობას სამშენებლო მოედანზე და მასალების ტრანსპორტირებას.

- მანქანებისა და მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია
- გამონაბოლქვები (მანქანებიდან და სხვ.)
- მტვერი (მანქანებისგან და ფხვიერი მასალისაგან);
- კვამლი, მასალების ტრანსპორტირებისას.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები

აქტივობების განხორციელებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- ინერტული (მინერალური) სამშენებლო ნარჩენები;
- მოხსნილი ძველი ხის მასალები;

- მოხსნილი აგურები, თაბაშირის ბათქაში, შუშა
- მოხსნილი თუნუქი, კირი და ცემენტის ბათქაში, სახურავის ბითუმის ნარჩენები.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

უმნიშვნელო სახიფათო სამშენებლო ნარჩენები წარმოიქმნება ძირითადად მანქანების მუშაობის შედეგად, ესენია:

- თხევადი საწვავი;
- საპოხი ზეთები, ჰიდრავლიკური სითხეები;
- ქიმიკატები, როგორცაა ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის კონტროლის მასალები, რომლებიც დაღვრილი ზეთის და ქიმიკატების ადსორბციისთვის გამოიყენება;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ჩვრები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და სხვ.

ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზემოქმედება

- ხმაური & ვიბრაცია
- საგზაო მოძრაობის გადატვირთვა (დისკომფორტი)
- ჰაერის დაბინძურება
- ტალახი გზებზე
- მანქანებში საწვავის ჩასხმა, მოვლა და რეცხვა, ამასთან დაკავშირებული წყლისა და ნიადაგის დაბინძურების საფრთხე.
- **ფლორა.** მოსალოდნელი არ არის რაიმე სახის პოტენციური ზემოქმედება. პროექტი არ ითვალისწინებს ხის ჭრას.
- **ლანდშაფტი.** პროექტი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას. ლანდშაფტი აღდგენილი იქნება თავდაპირველი სახით.

ფიზიკურ კულტურულ ფასეულობაზე ზემოქმედება

ქვეპროექტი განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ტერიტორიაზე, სადაც აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობები და ექსპონატებია განლაგებული. აღდგენასთან დაკავშირებული რისკებია: ძველი ნაგებობების დაზიანება მიწის სამუშაოების და ვიბრაციის გამო; ზემოქმედება ობიექტის ისტორიულ და ესთეტურ ღირებულებაზე; ექსპონატების ფიზიკური განადგურება ან დაზიანება. ექსპლუატაციის (ოპერირების) ფაზაში რისკები დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: ვიზიტების მართვა, ექსპონატების დაცვა არახელსაყრელი შენახვის პირობებისგან, ვანდალიზმის თავიდან აცილება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა.

6. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით, რაც სამშენებლო სამუშაოებთან არის დაკავშირებული, უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად ან თავიდან ასაცილებლად შემუშავებული იქნა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა.

შემოთავაზებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც თანდართულია (გვერდი 30), წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს დოკუმენტი კი თავის მხრივ სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორთან გაფორმებული კონტრაქტის ნაწილია და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის მოთხოვნების შესრულება კონტრაქტორისათვის სავალდებულოა.

6.1. შემარბილებელი ღონისძიებები

მშენებლობის ფაზა

რეაბილიტაციის პროცესში რიგი შეზღუდვები და შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იქნეს გათვალისწინებული:

1. მანქანა-დანადგარები მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით უნდა მოძრაობდეს;
2. საპროექტო ტერიტორიაზე მაქსიმალური სიჩქარე შეიზღუდება;
3. მანქანა-დანადგარების მოძრაობის სიხშირე შეიზღუდება;
4. სამუშაო საათები მკაცრად ლიმიტირებული იქნება;
5. მანქანა-დანადგარების სადგომი უნდა მოეწყოს კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიის გარეთ; დაუშვებელია ტერიტორიაზე მანქანების დატოვება სამუშაო საათების შემდეგ;
6. სამშენებლო მასალები ლიცენზირებული პროვაიდერებისგან უნდა იქნას მიღებული. კონტრაქტორი ვალდებულია ფონდს წარუდგინოს ლიცენზიების, ნებართვების, წერილობითი შეთანხმების, სერტიფიკატების და ა.შ. ასლები, რათა დაამტკიცოს, რომ ყველა მასალა მიღებულია ლიცენზირებული პროვაიდერებისგან, მათ შორის მუხის მასალა. კონტრაქტორმა არ უნდა დაუშვას ისეთი ჯიშის ხის მასალების გამოყენება, რომლებიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი.
7. აკრძალულია სახიფათო ნარჩენების შენახვა კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ტერიტორიაზე.
8. სარეაბილიტაციო ეტაპზე წარმოქმნილი რაიმე სამშენებლო ან მუნიციპალური ნარჩენები უნდა გაიტანონ კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ტერიტორიიდან ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.
9. მობილიზაციის ეტაპზე ყველა მუშა გაივლის სათანადო ტრენინგს მაღალ-სენსიტიურ ადგილზე მუშაობის საკითხებზე. ტრენინგის ჩამტარებელი დაწესებულება და ტრენინგის მოდული უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში რაიმე საეჭვო საგნის შემჩნევსას სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერდება და განახლება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვის გაცემის შემდეგ.

ხმაური

ხმაური ერთ–ერთი ტიპური ზემოქმედებაა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება. პროექტის ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სამშენებლო სამუშაოებისთვის, რომლებიც ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს, რადგან ეს აქტივობები მოიცავს მძიმე მასალების ტრანსპორტირებას, მძიმე ტექნიკის გამოყენებას ძეგლის უშუალო სიახლოვეს.

სპეციალური ზომების მიუღებლობამ და აკრძალვების იგნორირებამ შესაძლოა სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების სერიოზული ზიანი გამოიწვიოს.

კონტრაქტორმა სამშენებლო ორგანიზაციამ სპეციალური ზომები უნდა მიიღოს, რათა მიაღწიოს შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ტვირთის ტრანსპორტირებაზე.

შემარბილებელი ღონისძიებები

- მძიმე ტექნიკის მოძრაობის შერჩეული მარშრუტი მაქსიმალურად უნდა იყოს დაშორებული ისტორიული ძეგლებიდან და ბატონის ციხის მჭიდროდ დასახლებული უბნიდან. გამონაკლის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ტრანსპორტის დასაშვები ინტენსივობა და სიჩქარე;
- ინერტული მასალის შემოტანა უნდა მოხდეს პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან. ინერტული მასალის და სხვა სამშენებლო მასალის ტრანსპორტირების მარშრუტი შეთანხმებული უნდა იქნეს შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან და არ უნდა მოხდეს ზედმეტი გადატვირთვა სატვირთო მანქანებით და დაშვებული მიმოსვლის ინტენსივობის დარღვევა;
- უსაფრთხოების დონემდე უნდა შეიზღუდოს სატვირთო მანქანების მაქსიმალური სიჩქარე ისტორიული ძეგლების სიახლოვეს მოძრაობისას;
- გამოყენებული უნდა იყოს მანქანა–დანადგარების ტექნიკური კონტროლისა და მოვლა–პატრონობის სათანადო პრაქტიკა;
- აქტივობები დღის საათებში უნდა განხორციელდეს;
- აკრძალულია მძიმე მანქანა–დანადგარების დაუტვირთავად მუშაობა. საჭიროა სათანადო მაცურების გამოყენება.
- კონტრაქტორმა ორგანიზაციამ სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს მომხმარებელს რისკის ფაქტორები, მათი შემარბილებელი ღონისძიებები და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა;
- საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მომხმარებელთან შეთანხმებული ღონისძიებები დაინტერესებული ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ და მათი კომენტარების გათვალისწინებით;

დაბინძურების პრევენციის ღონისძიებები:

წყლის / ნიადაგის დაბინძურება. კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სამშენებლო მოედანზე წყლის და ნიადაგის დაბინძურების პრევენციის მიზნით:

- აიკრძალოს ავტომანქანების მუშაობა წყალში (მაგალითად, სეზონური ნაკადის გადაკვეთის ადგილებთან ახლოს);
- საჭიროა ავტომანქანების შემოწმება, რომ არ ჰქონდეს ადგილი საწვავის და საპოხი ზეთების დაღვრას/გაჟონვას. აუცილებელია მანქანა-დანადგარების მოვლა/რემონტი, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი დაღვრა/გაჟონვა. უნდა ჩატარდეს ყოველდღიური შემოწმებები (მანქანების ტექნიკური მომსახურების პროცედურები) გაჟონვების ან სხვა პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ავტომანქანების მოვლა, დასუფთავება, გაუცხიმოვნება და ა.შ. ჩატარდება დადგენილ ადგილებზე, რომლებიც მოწყობილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის გარეთ მყარ მოედანზე და არა ნაყარ გრუნტზე. ტექნიკური მომსახურების პუნქტები არ უნდა მდებარეობდეს რომელიმე წყლის ობიექტიდან, ჭიდან ან მშრალი ხეობიდან 50 მ მანძილზე.
- საპოხი ზეთების, საწვავისა და გამხსნელების გამოყენება და შენახვა მხოლოდ დადგენილ ადგილებში უნდა მოხდეს, რომლებიც მოწყობილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის გარეთ. სათანადოდ მოპირკეთებულ ნიადაგზე, ექსპლუატაციისას და ავარიულად დაღვრილი სითხეების შეკავების უზრუნველყოფით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრილი სითხეების შემაკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და სხვ.).
- დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ტერიტორიაზე საპოხი ზეთების, საწვავისა და გამხსნელების შენახვა ან მანქანა-დანადგარებში ჩასხმა;
- კონტრაქტორი ვალდებულია მოაწყოს და გადახუროს მასალის შესანახი ადგილები. ეს ადგილები წყალგაუმტარი მასალით უნდა იყოს დაცული ჩარეცხვისგან ძლიერი წვიმის და წყალდიდობის დროს.
- დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის მოხვედრა წყლის ობიექტში, მდინარიდან, აუზში ან არხში.

ნარჩენების მართვა

სამშენებლო მოედნიდან ყველა სახის ნარჩენების განთავსება უნდა განხორციელდეს შეთანხმებულ ნაგავსაყრელებზე, გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვით.

ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები

- კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოს წერილობითი შეთანხმება შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისგან" სამშენებლო ნარჩენების უახლოეს დამტკიცებულ ნაგავსაყრელზე გატანის თაობაზე.
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვაში ჩართული პერსონალი გაივლის სპეციალურ ტრენინგს შემდეგ საკითხებზე:

- ნარჩენებთან მოპყრობა
 - ნარჩენების გადამუშავება
 - ნარჩენების დროებითი შენახვა
- აკრძალულია ნარჩენების დაწვა ქვეპროექტის ტერიტორიაზე;
 - ნარჩენების გატანის შესახებ ჩანაწერები წარმოებული უნდა იქნას როგორც სწორი მართვის მტკიცებულება.

სახიფათო ნარჩენები

- კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე უნდა გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება ლიცენზირებულ კომპანიასთან სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებაზე, განკავგასა და განთავსებაზე;
- სახიფათო ან ტოქსიკური ნარჩენების დროებითი შენახვა უსაფრთხო კონტეინერებში იწარმოებს, რომლებსაც ექნება ეტიკეტები შიგთავსის შემადგენლობის, თვისებებისა და მოპყრობის შესახებ ინფორმაციით.
- სახიფათო ნარჩენები უნდა მოთავსდეს გაუმტარ კონტეინერში, რათა თავიდან ავიცილოთ გაჟონვა და გამორეცხვა.
- არ უნდა იქნას გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი საღებავები ან გამხსნელები, ან ტყვიის შემცველი საღებავები.

მტვერი და გამონაბოლქვი

- ავტომანქანები უნდა შენარჩუნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მათი გამონაბოლქვი არ აწუხებდეს მუშებს ან ადგილობრივი მოსახლეობას და სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს;
- ზემოქმედების შესამცირებლად საქმიანობა უნდა განხორციელდეს სამუშაო საათების განმავლობაში – დღის სინათლეზე. ყველა ავტომანქანა შემოწმდება და საჭიროების შემთხვევაში გარემონტდება დაზიანებული ნაწილებით გამოწვეული ხმაურის დონის შესამცირებლად.
- ჩატარდება დიზელის ძრავების რეგულარული ტექნომსახურება მაგალითად, საწვავის ინჟექტორების დასუფთავება გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ყოველდღიური დათვალიერება მაღალი სტანდარტების დაცვით შესრულდება ავტომანქანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გამონაბოლქვის და ხმაურის მინიმუმამდე შესამცირებლად. სამშენებლო მოედანზე გამოყენებულ საამქროს რეგულარულად ჩატარდება ტექნომსახურება, რომ ყოველთვის კარგ მდგომარეობაში იყოს და პოტენციური დამაბინძურებელი ემისიები მინიმალური იყოს.

საჭიროების შემთხვევაში, მშრალ პირობებში, ან სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით მტვერი წარმოიშვება ან შეიძლება წარმოიშვას, მშენებლობის მენეჯერთან ერთად გამხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს:

- სამშენებლო მასალების გადაფარვის უზრუნველყოფა;
- მასალის გადაზიდვის განსაზღვრული გზების გამოყენება და მანქანის სიჩქარის შემცირება, სადაც საჭიროა. მასალების ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე იწარმოებს არა–პიკის საათებში;

- სამშენებლო მოედანზე ტრანსპორტირებისას მასალები გადახურული/დანამული იქნება მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად. სამშენებლო მოედანი უნდა მოირწყას. მუშებს უნდა ჰქონდეთ დამცავი აღჭურვილობა. მანქანები შემოწმდება და გარემონტდება დაზიანებული ნაწილებით გამოწვეული გამოწვლილების შესამცირებლად.
- აგურების, თაბაშირის ბათქაშის და სხვ. მოშორების დროს წარმოქმნილი მტვერი უნდა შეკავდეს წყლის და/ან მტვრის ეკრანის მეშვეობით;
- გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს სამშენებლო ნარჩენებისა და მტვრისგან;
- დაუშვებელია ღია ცის ქვეშ ნარჩენების დაწვა;
- დაუშვებელია სამშენებლო მოედანზე მანქანების უქმი მუშაობის რეჟიმში დატოვება

შემარბილებელი ღონისძიებები მოედანზე უსაფრთხოდ მისასვლელად

- სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სათანადო საშუალებები იქნება უზრუნველყოფილი ბატონის ციხის ტერიტორიაზე მდებარე სკოლის ბავშვების და მასწავლებლების დასაცავად. ბავშვებისა და სკოლის პერსონალის უსაფრთხოებისათვის სამშენებლო მოედნის პერიმეტრზე მოეწყობა ბარიერები გამაფრთხილებელი ნიშნებით. გრეთვე, საწვავ პროცესის დაწყებამდე და მის შემდეგ, კონტრაქტორის მიერ შერჩეული თანამშრომლები გააკონტროლებენ ობიექტის საზღვრებს, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსწავლეების შესვლა სამშენებლო მოედანზე. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, ყველა სახის ნარჩენი მასალა უსაფრთხო ადგილას უნდა მოთავსდეს, რომელიც მიუწვდომელი იქნება გარეშე პირებისათვის.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა

ბატონისციხის ექსპონატების დროებითი ადგილმონაცვლეობა და უსაფრთხო შენახვა

ადმინისტრაციულად ბატონისციხის მართვა ხორციელდება თელავის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმის ფარგლებში. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და გუბერნატორის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მუზეუმის ფონდების შესანახად გამოყოფილი იქნა #1 სკოლის შენობა, რომელიც მუზეუმის სიახლოვეს მდებარეობს და რომლის სივრცეც საკმარისი აღმოჩნდა ყველა ექსპონატის განსათავსებლად. მუზეუმის ექსპონატების გადატანის სამუშაოების დაწყებამდე, მუზეუმის დირექტორმა წერილი გაუგზავნა სამინისტროს, რომლითაც იგი საქმიანობის დაწყების ნებართვას ითხოვდა (2012 წლის 7 მარტი, წერილი # 17). „მუზეუმების შესახებ“ და „მუზეუმის ფასეულობების დაცვისა და აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სამინისტრომ თანხმობა განაცხადა ექსპონატების გადატანაზე მუზეუმიდან დროებითი დასაწყობების ადგილზე (2012 წლის 12 მარტის წერილის # 22/08/846). შემდგომ, მუზეუმის დირექტორის ბრძანებით, შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ფონდების გადატანასთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტება. ექსპონატების გადატანა სკოლის შენობაში 13 მარტს დაიწყო და 2012 წლის 25 მარტს დასრულდა.

67 367 ექსპონატის ძირითადი ნაწილი დასაწყობდა საკონფერენციო დარბაზში და სკოლის შენობის საწყობებში. უსაფრთხოებისათვის, საწყობებში მოეწყო რკინის კარები და ფანჯრებზე კი - გისოსები. საკონფერენციო დარბაზში და სკოლის შენობის საწყობებში, სადაც განთავსდა ექსპონატები და ნახატები გალერეიდან, დამონტაჟდა სპეციალური თაროები. არსებული კლიმატური პირობები დამაკმაყოფილებელია, ოთახები კარგად ნიავედება, რაც უზრუნველყოფს კარგ ვენტილაციასა და საჭირო ტემპერატურას.

ამჟამად ექსპონატები ისევ რჩება დროებითი დასაწყობების ადგილას. სკოლა #1 მოქმედი სკოლაა, სადაც საგანმანათლებლო პროცესი ჩვეულებრივად გაგრძელდება.

ექსპონატების შესანახი დროებითი სივრცე სკოლის შენობის სხვა მხარეს მოიძებნა, რომელიც სკოლის იმ ნაწილისაგან არის იზოლირებული, სადაც საკლასო ოთახები მდებარეობს, შესაბამისად საჭირო არ იქნება საკლასო ოთახების დაცარიელება. ამრიგად, ექსპონატების დროებითი დასაწყობება სკოლის შენობაში არ გამოიწვევს სასწავლო პროცესის ხელის შეშლას და არ შეიცავს ექსპონატების დაზიანების რისკს.

მუზეუმის ექსპონატების მოვლა-პატრონობას სათანადო რეგულაციების თანახმად ახორციელებს მუზეუმის შესაბამისი პერსონალი. ობიექტს 24-საათიან რეჟიმში იცავს შსს-ს უსაფრთხოების პოლიცია.

ძვირფასი მეტალები და იარაღი (ოქროსა და ვერცხლის არტეფაქტები) სპეციალურ კონტეინერებში ინახება კომერციული ბანკის სპეციალურ საცავში.

მუზეუმის ექსპონატებთან დაკავშირებული ცოდნის გასაღრმავებლად და მათი შენახვის პირობების შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად, STEGET S.r.l. და ESTIA S.r.l. ერთობლივი საწარმოს მიერ ორგანიზებული იქნა რამოდენიმე შეხვედრა მუზეუმის მცველებთან და გაცემული იქნა გარკვეული რეკომენდაციები.

ექსპლოატაციის ფაზა

ნარჩენების განკარგვა

ტურისტების რაოდენობის მომატებასთან ერთად მოიმატებს ნარჩენების რაოდენობა.

ტურისტების თავშეყრის ადგილზე განსათავსებელი აუცილებელი კონტეინერების რაოდენობა და მოცულობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ტურისტთა სავარაუდო რაოდენობა; ტერიტორიის ფართობი, მისასვლელი გზების არსებობა. როგორც გამოთვლებიდან ჩანს, ყოველ სავარაუდო 300 ტურისტზე უნდა დაიდგას 1 ცალი 1.1 მ³ მოცულობის მეტალის კონტეინერი. გასათვალისწინებელია, რომ დაშორება კონტეინერებს შორის არ უნდა იყოს 50 მ-ზე მეტი და ამავდროულად 1.1 მ³ მოცულობის კონტეინერებთან უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკის მიდგომის და მანევრირების საშუალება. თუ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები ვერ კმაყოფილდება, აუცილებელია მცირე ზომის ადვილად გადასადგილებელი 0.24 მ³ მოცულობის პლასტმასის კონტეინერების გამოყენება. აქედან გამომდინარე, თითოეულ შემთხვევაში, ურნების რაოდენობა, ზომა და ადგილმდებარეობა ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს.

საჯარიმო სანქციების შემოღება ობიექტის დაზინძურების წინააღმდეგ

კონტეინერების განთავსება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ არ მოხდა საჯარიმო სანქციების შემოღება, დანერგვა და გატარება. რაც უფრო ეფექტურად იმუშავებს დაჯარიმების მექანიზმი, მით უფრო შემჭიდროვებულ ვადებში მიიღწევა დასახული მიზანი.

ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლა

თელავში და ქვე-პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიმატებს ავტოტრანსპორტის მიმოსვლის ინტენსივობა, რაც გაზრდის ემისიებისა და ხმაურის დონას, ასევე მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს. აღნიშნული ზეგავლენის შემსუბუქება შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების საშუალებით:

- ავტო პარკინგის ადგილები მდებარეობს ბატონისციხის მიმდებარე ქუჩებზე და მოედნებზე. ეს ადგილები ისე უნდა იყოს გათვლილი რომ მანქანებს და ავტობუსებს შეუფერხებლად გაჩერებისა და მანევრირების საშუალება ჰქონდეთ;
- სათანადო მართვის სისტემის დანერგვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საცობებით და მასთან დაკავშირებული გამონაბოლქვებისა და ხმაურის დონეების მატებით გამოწვეული უარყოფით ზეგავლენის შეამცირება ადგილობრივ მოსახლეობაზე და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე.
- ფეხით მოსიარულეთათვის მოეწყობა შესაბამისი ტროტუარები, საფეხმავლო ბილიკები, და ნიშნები ბატონისციხის ირგვლივ არსებულ ობიექტზე მისასვლელ გზებზე.

წყალმომარაგება და კანალიზაცია

ტურისტების რაოდენობის ზრდა გამოიწვევს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების გაზრდილ მოხმარების. წყლის შეწყვეტის ან კანალიზაციის სისტემის გაუმართაობის ნებისმიერი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ექსპლოატაციის პერიოდში საჭიროა სისტემების სათანადო მართვისა და მონიტორინგის განხორციელება.

6.2. გმგ-ის განხორციელების ინსტიტუციონალური ჩარჩო

მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია შეასრულოს EMP და განახორციელოს მიღებული მშენებლობის პრაქტიკა. ამ ვალდებულებების შესასრულებლად კონტრაქტორს უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი გარემოსდაცვითი სპეციალისტი, რომელსაც სრულად ესმის გმგ-ს რეკომენდაციები და შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებებს პროფესიულად გაითვალისწინებს კონსტრაქტორის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მშენებელი კონტრაქტორის ვალდებულებანი

მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია:

1. სამშენებლო მასალებით მომარაგება უზრუნველყოს ლიცენზირებული მომწოდებლებისგან;
2. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მოინდომებს კარიერების გახნას, ან მასალების ამოღებას მდინარის კალაპოტიდან (აღნიშნული მასალების სხვა მომწოდებლებისაგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია;
3. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მოინდომებს საკუთარი ასფალტის, ან ბეტონის ქარხნის ამუშავებას (აღნიშნული მასალების სხვა მომწოდებლებისაგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ანგარიში ატმოსფერული ჰაერის დამაზინძურებელი სტაციონარული წყაროს შესახებ და შეათანხმოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

- სამშენებლო ნარჩენები საბოლოო განთავსების მიზნით გაიტანოს თელვის მუნიციპალურ ნაგავსაყელზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ნარჩენების განკარგვის აღრიცხვა უნდა იწარმოებოდეს, როგორც სათანადო განკარგვის საბუთი.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების (საჭიროების შემთხვევაში), ასფალტის/ბეტონის ქარხნების (საჭიროების შემთხვევაში) მუშაობისთვის საჭირო ნებართვების და ნარჩენების გატანის შესახებ შეთანხმების ასლები მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მგფ-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტისა და (GOST) სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) გათვალისწინება.

მგფ-ს მიერ დაქირავებული სამუშაოების ზედამხედველი კომპანია პასუხისმგებელია სამუშაოების წარმოების ზედამხედველობაზე ადგილზე, ასევე საინჟინრო პროექტთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, და სამუშაოების ხარისხიანად შესრულებაზე. იგი ასევე უფლებამოსილია კონტრაქტორის მიერ EMP-ს აღსრულების მეთვალყურეობაზე, შემოთავაზებული ღონისძიებებიდან ნებისმიერი გადახვევის აღმოჩენაზე, ასევე გაუთვალისწინებელი გარემოსდაცვითი საკითხების იდენტიფიცირებაზე სამუშაოების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. კომპანია უზრუნველყოფს ქვემოთმოყვანილ მოთხოვნებთან შესატყვისობას: (i) საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა; (ii) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მოპოვება; (iii) ნარჩენების განთავსება ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე; (iv) გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა მოთხოვნები, რომლებიც შეთანხმებულია მგფ-სთან; და (v) გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვისა და მონიტორინგის გეგმების განხორციელება.

მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესატყვისობის კუთხით პასუხისმგებელია კავშირებზე ადგილობრივ მუნიციპალურ ხელისუფლებასთან, ადგილობრივ თემებთან და მშენებელ კონტრაქტორთან.

ტექნიკური ზედამხედველისა და კონტრაქტორის ხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფის ხარჯზე, იგი ზოგად მეთვალყურეობას უწევს სამუშაოების გარემოსდაცვით ასპექტებს.

6.3. განხორციელების ხარჯები

შემოთავაზებული ინდივიდუალური შემამასუბუქებელი ზომების განხორციელების ხარჯები უმნიშვნელოა და მათი გამოცალკევება სამშენებლო ოპერაციების ხარჯებიდან საკმაოდ რთულია. მიუხედავად ამისა რეკომენდირებულია რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხარჯთაღრიცხვები შეიცავდეს პუნქტს ნარჩენებისა და დარჩენილი მასალების განკარგვის თაობაზე. სხვა ხარჯები რომელიც დაკავშირებულია მიღებულ გარემოსდაცვით პრაქტიკასთან და წინამდებარე გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან შესატყვისობასთან ინტეგრირებული უნდა იქნას სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების განფასებებში.

6.4 გარემოსდაცვითი მონიტორინგი

მგფ-ს ეკისრება ზოგადი პასუხისმგებლობა გარემოზე ზემოქმედების შემამასუბუქებელი ზომების განხორციელების მონიტორინგზე. საკონსულტაციო ფორმა რომელიც დაქირავებულია სამუშაოების საზადამხედველოდ, მეთვალყურეობას გაუწევს მოცემული ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების გარემოსდაცვით და სოციალურ შესატყვისობას და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს.

დოკუმენტში განხილულ რისკების შეფასებაზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა შესაბამისი მონიტორინგის პროგრამა. მგრძნობიარე რეცეპტორების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მშენებლობის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ, აგრეთვე აუცილებელია ზედამხედველობა სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციისას.

მონიტორინგის ფორმა და სიხშირე შეიძლება განსხვავდებოდეს და რისკებზე დამოკიდებულებით შეიძლება იცვლებოდეს მარტივი ვიზუალური შემოწმებიდან კომპლექსურ ანალიზამდე. სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დროს გამოყენებული უნდა იყოს მონიტორინგის მიღებული პრაქტიკა და ანალიტიკური მეთოდები. გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგები და აღმოჩენილი შეუსაბამობის/ინციდენტის და მათი აღმოფხვრის გზები, შეჯამებული სახით უნდა იქნას წარმოდგენილი ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებში.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა შეჯამებულია გვერდზე 35 მოცემულ ცხრილში.

6.5. ანგარიშგება გმგ-ს განხორციელების შესახებ

ტექნიკური ზედამხედველი ყოველთვიურად და კვარტალურად მოამზადებს შუალედურ ანგარიშებს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას EMP-ის განხორციელების და კონტრაქტორის გარემოსდაცვითი შესრულების შესახებ. ეს ანგარიშები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ საქმიანობის ძირითადი ტიპების შესახებ, რაც განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე, ასევე ინფორმაციას ნებისმიერი შეთანხმების/ნებართვის/ლიცენზიის სტატუსის შესახებ, რომელიც საჭირო გახდა ამ საქმიანობის განსახორციელებლად, გამოყენებული გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სამშენებლო მასალების მომწოდებლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან ურთიერთობისას და სხვ.

ტექნიკური ზედამხედველი წარმოაჩენს EMP -სთან ნებისმიერი შეუსაბამობას, წარადგენს ინფორმაციას კონტრაქტორის მიერ წარმოჩენილ ან ზედამხედველის მიერ გამოვლენილ მწვავე საკითხებს და შეიმუშავებს წინადადებებს გამასწორებელი და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

მგფ უზრუნველყოფს, რომ ტექნიკური ზედამხედველის მიერ მომზადებული ყოველთვიური ანგარიშები მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციაში წარდგენისთანავე დროულად მიეწოდოს გარემოს დაცვის სპეციალისტებს. მგფ, შესაბამისი გარემოსდაცვითი სპეციალისტების მეშვეობით კვარტალურად წარუდგენს ანგარიშებს მსოფლიო ბანკს სამშენებლო სამუშაოების გარემოსდაცვითი სტატუსის შესახებ. ამგვარი ანგარიშები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა იდენტიფიცირებული დარღვევისა და მათ აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ. მუნიციპალური განვითარების ფონდი ვალდებულია შეატყობინოს

მსოფლიო ბანკს ყველა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხის შესახებ ნებისმიერ დროს, რეგულარული ანგარიშგების გრაფიკისგან დამოუკიდებლად.

6.6. გმგ-ის დარღვევების გამოსწორება

მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე, რაც ასევე მოიცავს EMP-ის შესრულებას. უმნიშვნელო დარღვევისათვის, რაც იწვევს დროებით, შექცევად ზიანს, კონტრაქტორს მიეცემა 48 სთ პრობლემის გამოსწორებისა და გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენისათვის. თუკი აღდგენითი სამუშაოები დამაკმაყოფილებელია ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, სხვა ზომები არ მიიღება. თუკი ვითარების გამოსწორება ვერ ხერხდება ამ ვადაში, მგფ დაიქირავებს სხვა კონტრაქტორს აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად, ხოლო ამ სამუშაოების ღირებულებას გამოაკლებს დამრღვევი კონტრაქტორისათვის შემდეგომი გადახდიდან. მნიშვნელოვანი დარღვევისათვის, რაც გამოიწვევს გრძელვადიან ან შეუქცევად ზიანს, გათვალისწინებულია ფინანსური ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 1 % ოდენობით, აღდგენითი სამუშაოების ღირებულების გარდა.

7. საჯარო კონსულტაციები

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი, თანდართულ გარემოსდაცვით ღონისძიებათა გეგმასთან ერთად სამუშაოების დაწყებამდე იქნება განხილული ბენეფიციარ თემთან ერთად. ინფორმაცია ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის ქვეპროექტის განხორციელებისა და ბატონისციხის მუზეუმისა და მისი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისას.

8. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

ჩამოყალიბდება საჩივრების დაკმაყოფილების შესაბამისი მექანიზმები, რათა დროულად მოხდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მხრიდან წამოჭრილი დავების მოგვარება. უცილებელია პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რომელიც მიიღებს და განიხილავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მხრიდან წარდგენილ საჩივრებს და მოახდენს მათზე სათანადო რეაგირებას.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
წინა-სამშენებლო ფაზა			
ნებართვების/ლიცენზიების მოპოვება, ხელშეკრულებების დადება	საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა	<p>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებართვების მოპოვება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ნარჩენი გრუნტის განთავსების ნებართვა - ინერტული მასალების მოპოვების ნებართვა - ნებართვა იმგვარი სამშენებლო მასალების წარმოებაზე, რომელიც ეკოლოგიური ექსპერტიზის ქვემდებარე საქმიანობისათვის არის საჭირო - კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნებართვები <p>ხელშეკრულების დადება ნარჩენების მართვის კომპანიასთან საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე გატანა-განთავსებასთან დაკავშირებით</p>	მშენებელი კონტრაქტორი
კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა და ინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების და ინტერესების გაუთვალისწინებლობა გადაწყვეტილების მიღებისას	<ul style="list-style-type: none"> - შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად და მათი მოსაზრებების გასაზიარებლად - საჯარო კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან და ქვე-პროექტის ER-ის განხილვა EMP-ის ჩათვლით 	მგფ, მშენებელი კონტრაქტორი, მშენებლობის ზედამხედველი
გარემოსდაცვითი ზომების განხორციელების სტრუქტურა	საკანონმდებლო და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა, მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური და გარემოზე ზემოქმედება	<ul style="list-style-type: none"> - გარემოს და სოციალურ დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა - მუშახელის ტრეინინგი გარემოს და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე - გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
მშენებლობის ფაზა			
<p>სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ობიექტის ტერიტორიის მომზადება - მიწის სამუშაოები 	<p>ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება</p>	<ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო ტერიტორიის და გზის მორწყვა მშრალ ამინდებში, საჭიროებისამებრ - მიწის სამუშაოების შეჩერება ძლიერი ქარის შემთხვევაში - მცენარეული საფარის გაწმენდა უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დაწყების წინ - მოხსნილი ნიადაგის/გრუნტის სათანადოდ დასაწყობება - ტერიტორიის რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე - ნაყარი ტვირთების გადახურვა ტრანსპორტირებისას - ავტომანქანების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა სატრანსპორტო ოპერაციებისას - ტექნიკის უქმი სვლის დროის მინიმუმამდე დაყვანა - მანქანა-დანადგარების ტექ. გამართულობის უზრუნველყოფა 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შენობა-ნაგებობების მოწყობა - სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაცია - სატრანსპორტო ოპერაციები 	<p>ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება</p>	<ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება მხოლოდ დღის საათებში - საცხოვრებელი ზონის მახლობლად ტექნიკის გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა - ტექნიკის უქმი სვლის დროის მინიმუმამდე დაყვანა - მანქანა-დანადგარების ტექ. გამართულობის უზრუნველყოფა 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>
	<p>მცენარეული საფარის დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო ტერიტორიის და მისასვლელი გზების დემარკაცია სამუშაოების დაწყებამდე - სამუშაო ტერიტორიის საზღვრების მკაცრად დაცვა - ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა სამშენებლო ობიექტიდან (შემღებისდაგვარად) და მისი შენახვა შემდგომი აღდგენისათვის, 'ნიადაგის ზედა ფენის მოხსნის, დასაწყობების, გამოყენებისა და რეკულტივაციის' ტექნიკური ნორმების (2014) შესაბამისად 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> - ძლიერი წვიმების დროს ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა ნებადართული არ არის - ტერიტორიის რეკულტივაცია სამუშაოების დასრულებისთანავე, კერძოდ კი ნიადაგის საფარის აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში, მცენარეულობის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება 	
	ნიადაგის საფარის დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო ტერიტორიის და მისასვლელი გზების დემარკაცია სამუშაოების დაწყებამდე - სამუშაო ტერიტორიის საზღვრების მკაცრად დაცვა - სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის ცალკე მოხსნა (შემღებისდაგვარად) და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად - დაუშვებელია ნიადაგის საფარის მოხსნა წვიმიან ამინდებში - ტერიტორიის რეკულტივაცია სამუშაოების დასრულებისთანავე, მ.შ. ნიადაგის საფარის აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში, მცენარეულობის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება 	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის დაზიანება	<p>პერსონალის უზრუნველყოფა ტუალეტებითა და აბაზანებით და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება ქალაქ თელავის ცენტრალიზებულ საკანალიზაციო სისტემაში</p> <ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა - ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავშიდებით, ამასთან სავალდებულოა წყვეთშემკრებების გამოყენება 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგი და მოწყობილია ხრემის საფარი სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება - საწვავის, ან სხვა დაღვრების შემთხვევაში დაღვრის დაუყოვნებლივ აწმენდა, დაბინძურებული ნიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა - სამუშაოების დასრულებისთანავე ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან - ნარჩენების განკარგვისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება 	
	წყლის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> - წყლის დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება - ლამდამჭერების მოწყობა ნიადაგის / გრუნტის ნაყარებთან - ნარჩენების მართვის ღონისძიებების გატარება - ჩამდინარე წყლების შემკრები სისტემის ქალაქ თელავის საკანალიზაციო ქსელთან დაერთების უზრუნველყოფა 	მშენებელი კონტრაქტორი
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	<ul style="list-style-type: none"> - დაუშვებელია ნარჩენების დაწვა - ნარჩენების განცალკევებულად შეგროვება - ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის სათანადოდ მოწყობილი უბნების გამოყოფა, სადაც გატარებული იქნება დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებები - მყარი ნარჩენების (ნარჩენი გრუნტის და სახიფათო ნარჩენების გარდა) გატანა ნაგავსაყრელებზე, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი უნდა იქნას ქალაქ 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>თელავის საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, ხოლო სამშენებლო ნარჩენები - სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე.</p> <ul style="list-style-type: none"> - სახიფათო ნარჩენების გადაცემა ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე - ნარჩენი გრუნტის გატანა წინასწარ შერჩეულ უბანზე. სათანადო ნებართვების მოპოვება ნარჩენი გრუნტის განთავსებამდე. - ნარჩენების და მისი განკარგვის რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება - მუზეუმის საკანალიზაციო ქსელის სწორად დაერთების უზრუნველყოფა ქალაქ თელავის საკანალიზაციო ქსელთან 	
	<p>ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით 	
	<p>მოსახლეობის/ სკოლის მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები</p>	<ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო მოედნის დაცვა შემთხვევითი შემსვლელებისაგან - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - სამუშაო უბნების დემარკაცია და გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>
	<p>კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება	
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	- მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში) - საჩივრების მიღება და მათზე რეაგირება	მშენებელი კონტრაქტორი
	პროექტის მუშახელის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	- სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, ზემოხსენებული უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მათი მსვლელობისას - საჭირო პირადი დაცვის საშუალებების (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) მოწოდება და მათი გამოყენების უზრუნველყოფა - ტექნიკის ექსპლოატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება	მშენებელი კონტრაქტორი
	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	- ტექნიკის შეყვანის აკრძალვა ბატონისციხის ტერიტორიაზე - ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე -სამუშაოების შეჩერება მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ	მგფ, მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
ექსპლუატაციის ფაზა			
<p>ქვე-პროექტის ფარგლებში მოწყობილი ახალი მუზეუმისა და მისი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია</p>	<p>გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით</p>	<ul style="list-style-type: none"> - სანაგვე ურნების განთავსება ობიექტის ტერიტორიაზე - ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის პერიოდული დასუფთავება - მყარი ნარჩენების რეგულარულად გატანა ქ. ქუთაისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, ნარჩენების მართვის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე - დაუშვებელია ნარჩენების დაწვა - წყალსარინარის და გამწმენდი ნაგებობის ტექ. გამართულობის უზრუნველყოფა - გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობის მონიტორინგი 	<p>ობიექტის ოპერატორი</p>

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

აქტივობა	რა (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალურად რეგისტრირებული / ლიცენზირებული მომწოდებლებისგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმების დროს	ინფრასტრუქტურის ტექნიკური საიმედოობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება. სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა	ტრანსპორტისა და ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა. სატვირთო ავტომობილების ტვირთის დამაგრება და გადახურვა. ტრანსპორტირების დადგენილი მარშრუტისა და საათების დაცვა.	სამშენებლო მოედანი	შემოწმება	გამოუცხადებელი ინსპექტირება სამუშაო დღის განმავლობაში და არასამუშაო საათებში	წიადაგის და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შეზღუდვა; ხმაურითა და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული დისკომფორტის მინიმუმამდე დაყვანა; ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების მინიმუმამდე შემცირება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია
სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებულ პროექტთან შესაბამისობა	სამშენებლო მოედანი	შემოწმება	სამშენებლო სამუშაოების დროს	შენობის ისტორიული შტრიხების და მთლიანად ისტორიული ობიექტის დაზიანების პრევენცია	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

აქტივობა	რა (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
ინერტული მასალების მოძიება	<p>მასალის შესყიდვა არსებული მომწოდებლებისგან, თუ შესაძლებელია;</p> <p>მოპოვების ლიცენზიის მიღება სამუშაოების კონტრაქტით და ლიცენზიის პირობების მკაცრად დაცვა;</p> <p>კარიერის ტერიტორიის დატერასება, კარიერის ექსპლუატირებული ადგილების ამოვსება და ლანდშაფტის ჰარმონიზაცია;</p> <p>მდინარის ხრეშის და ქვიშის ამოღება ნაკადის გარეთ, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა მოპოვების ტერიტორიასა და მდინარეს შორის და არ იქნას დაშვებული მანქანების შესვლა წყალში</p>	მოპოვების ადგილებში	დოკუმენტების შემოწმება. სამუშაოს შემოწმება.	მასალის მოპოვების დროს	ფერდობების ეროზიის შეზღუდვა, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის ეკოსისტემის მოშლის შეზღუდვა.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილზე;</p>	სამშენებლო მოედანი; ნარჩენების განთავსების ადგილი	შემოწმება.	პერიოდულად მშენებლობის დროს და პრეტენზიების მიღებისას	სამშენებლო მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

აქტივობა	რა (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთათვის მისასვლელის შეზღუდვა	საგზაო მოძრაობის შეზღუდვის/შემოვლითი გზის აბრების განთავსება; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან ავიცილოთ მისასვლელი გზების ჩახერგვა	სამშენებლო მოედანზე და მიდამოებში	შემოწმება.	მშენებლობის დროს	ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია; ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არსებული სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის მიყენებული დისკომფორტის შეზღუდვა;	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
ყველა ტიპის საქმიანობა (სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია, სამშენებლო სამუშაოები), რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ფონური ხმაურის დონის ზრდა	მოსახლეობის, და არსებული სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლების უკმაყოფილება ფონური ხმაურის გაძლიერების გამო	სამშენებლო მოედანზე და მის ირგვლივ (განსაკუთრებით სკოლის საზღვარზე)	მანქანა-მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება. ხმაურის დონის გაზომვა, საჭიროების შემთხვევაში.	ტრეინინგის პროცესში და ასევე ძლიერი ხმაურის გამომწვევი საქმიანობების განხორციელების დროს	მოსახლეობის, და არსებული სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლების შეწუხების მინიმუმამდე დაყვანა	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშახელის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების უზრუნველყოფა უნიფორმებით და დამცავი აღჭურვილობით მუშების და პერსონალის ინფორმირება პირადი უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების შესახებ, მანქანა / დანადგარების ფუნქციონირებისთვის; ამ წესების / ინსტრუქციების მკაცრი დაცვა.	სამშენებლო მოედანი	შემოწმება.	გამოუცხადებელი ინსპექტირება მუშაობის დროს	სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების და ავარიების შეზღუდვა;	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი

აქტივობა	რა (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე /თუ უწყვეტად?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ?)
ახლომდებარე სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალის ჯანდაცვა და უსაფრთხოება	სამშენებლო ობიექტზე შემთხვევით შესვლა	სამშენებლო მოედნის პერიმეტრი, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილოეთ საზღვარი	შემოწმება	მშენებლობის პერიოდის განმავლობაში (განსაკუთრებით კი სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ)	სამუშაო ადგილზე შემთხვევების და საგანგებო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
ექსპლუატაციის ფაზა						
ბატონის ციხის ნაგებობის მართვა	საყოფაცხოვრებო ნარჩენების განკარგვა; წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის ტექნომსახურება; ახალი ფიზიკური კონსტრუქციების მონტაჟის და ინფრასტრუქტურის კონტროლი ობიექტის ფარგლებში	ბატონის ციხის ობიექტი	შემოწმება.	ნაგებობის ექსპლუატაციის დროს	ობიექტის დანაგვიანების პრევენცია შადრევენების, საზოგადოებრივი ტუალეტის და კომუნალური მომსახურების გაუმართაობა ადმინისტრაციულ შენობებში ობიექტის ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნება	თელავის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაცია; თელავის მუნიციპალიტეტი
ბატონის ციხეში ვიზიტების მართვა	ობიექტის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება	ბატონის ციხის ობიექტი	შემოწმება.	აღდგენილი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე და ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში	ობიექტის ხალხით გადავსებისა და ვიზიტორების უკმაყოფილების პრევენცია	თელავის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაცია

დანართი 1 - საკადასტრო ინფორმაცია


მწიხ (უბრაო ქონება) საკადასტრო № 532017052

საქართველო ამონაწერი საჯარო რეგისტრაციის მწიხის (უბრაო ქონების) შესახებ	
განაცხადის რეგისტრაციის № <u>882008352243</u>	თარიღი <u>28.11.2008</u>
ამონაწერის მომზადების თარიღი <u>01.12.2008</u>	
ა) საკუთრების განყოფილება	
საკადასტრო ზონა <u>თბილისი</u>	<u>57</u> (კვადრ.)
საბჭო <u>ქ. თბილისი</u>	<u>20</u> (კვადრ.)
კვარტლის № <u>37</u>	საკუთრების № <u>052</u>
ფართობი <u>მკმ</u> <u>მ</u> <u>21607</u>	<u>მკმ</u> <u>მ</u> <u>მკმ</u>
საკუთრების მისამართი <u>კრწანული II-ის მოედანი №1</u>	საკუთრების წილი № _____
უფლები <u>საკუთრება</u>	საკუთრების ფუნქცია <u>არასასაზღვრო-საქვეყნო</u>
ბ) შესაკუთრების განყოფილება	
უფლების დამფასებლურებული იურიდიული დოკუმენტები	შესაკუთრებ და მისი მისამართი
საბ. ქონების აღრიცხვის და მხედველობის კატეგორიის საბაზო საინფორმაციო მონიტორინგი №3071 08.09.08 ამონაწერი ნაბიჯი	საქვეყნო
	უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი: <u>19.09.2008</u>
	უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: <u>882008278784</u>
	უფლების რეგისტრაციის თარიღი: <u>23.09.2008</u>



**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თქვანის სარეგისტრაციო სამსახური
საკადასტრო გეგმა**

მომხმარებლის საკადასტრო კოდი: 53 20 37 052
 ბანკის ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი: 882008278784
 მომხმარებლის ფართობი: 21607 კვ.მ.
 დანიშნულება: ავტოსადგომი-სამშენებლო
 კატეგორია:
 მომზადების თარიღი: 22.09.08



საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მისამართი: 0102 ქ. თბილისი, მ. მთაწმინდა, ქ. 2 (ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41)
 ავტოსადგომის საკადასტრო გეგმა: 2200 ნიშნული: N 35

www.napr.gov.ge

ფოტომასალა



